

შპს „ჯი თი ელ“-ის

2022 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს „ჯი თი ელ“-ის

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შპს ჯი თი ელ			
ფინანსური მდგომარეობა			
	ერთეული: 1 GEL		
ფინანსური მდგომარეობა	31/12/2022	31/12/2021	შენიშვნა
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	118275	13090	3.1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	768160	1381872	3.2
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	203657	195076	3.3
მარაგები	0	0	
მზა პროდუქცია	0	0	
სხვა	0	0	
საინვესტიციო ქონება	0	0	
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0	0	
ბიოლოგიური აქტივები	0	0	
თვითღირებულების მოდელით	0	0	
გადაფასების მოდელით	0	0	
გუდვილი	0	0	
სხვა არამატერიალური აქტივები	2100	2100	
ძირითადი საშუალებები	151007	157535	3.4
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	
სულ აქტივები	1243199	1749673	
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	
სავაჭრო ვალდებულებები	455443	723538	3.5
ანარიცხები	0	0	
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	826	8333	
საგადასახადო ვალდებულებები	32269	34069	3.6
გამომუშავებული შემოსავალი	31464	236864	3.7
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	12428	14450	3.8
მიღებული გრანტები	0	0	
სხვა ვალდებულებები	0	0	
სულ ვალდებულებები	532430	1017254	
საკუთარი კაპიტალი			3.9
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	0	0	
საემისიო შემოსავალი	0	0	
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	710769	732419	
გადაფასების რეზერვი	0	0	
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	
სულ საკუთარი კაპიტალი	710769	732419	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1243199	1749673	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.11.2023 წ.			
დირექტორი _____ რომან ალლაჰვერდიევ			
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი			

შპს „ჯი თი ელ“-ის

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შპს ჯი თი ელ			
საქმიანობის შედეგები			
	ერთეული: 1 GEL		
საქმიანობის შედეგები	31/12/2022	31/12/2021	შენიშვნა
ნეტო ამონაგები	2450812	4922400	3.10
საქონლის გაყიდვიდან	0	0	
მომსახურების გაწვიდან	2450812	4922400	
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0	
სხვა	0	0	
გაყიდვების თვითღირებულება	-2387043	-4638566	
საწყისი მარაგები	0	0	
მარაგების შესყიდვა	0	0	
გადამუშავების დანახარჯები	0	0	
საბოლოო მარაგები	0	0	
საერთო მოგება	63769	283834	
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	6854	
დასაქმებულთა ანაზღაურება	-51454	-126258	
ცვთა / ამორტიზაციის ხარჯი	-7885	-7840	
საპროცენტო შემოსავალი	0	0	
საპროცენტო ხარჯი	0	-1243	
იჯარის ხარჯი	0	0	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-14252	-20140	3.11
სულ საოპერაციო ხარჯები	-73591	-148627	
საოპერაციო მოგება	-9822	135207	
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:			
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0	
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0	
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0	
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადა	0	-49883	
მიღებული დივიდენდები	0	0	
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-11826	-164323	
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-21648	-78999	
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0	
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-21648	-78999	
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0	
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზ	0	0	
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0	
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-21648	-78999	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	732419	799783	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'ს	0	0	
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-2	11635	
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	710769	732419	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.11.2023 წ.			
დირექტორი რომან ალლაჰვერდიევი			
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი			

შპს „ჯი თი ელ“-ის

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შპს ჯი თი ელ			
ფულადი სახსრების მოძრაობა			
	ერთეული: 1 GEL		
ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2022	31/12/2021	
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი	113810	-162122	
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი	-1630	0	
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადი	-194	-31745	
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	111986	-193867	
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-6801	1443	
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	13090	205514	
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	118275	13090	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.11.2023 წ.			
დირექტორი _____	რომან ალლაჰვერდიევ		
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი			

2022 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „ჯი თი ელ“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2016 წლის 10 აგვისტოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 405161630, იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, დიდი დიღომი, III მ/რ, კორ. 35, ბინა N41. ფაქტობრივი მისამართი - საქართველო, ქ. ფოთი, აღმაშენებლის #16. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია ფ/პ რომან ალლაჰვერდიევ (C02020270, P5190246 - აზერბაიჯანი).

1.3. საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის კომპანიის დირექტორი იყო ფ/პ დორა კაკულია (პ/ნ 42001004943), ხოლო 2023 წლის 6 სექტემბრიდან კომპანიის დირექტორია ფ/პ რომან ალლაჰვერდიევ (C02020270, P5190246 - აზერბაიჯანი).

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა საექსპედიტორო მომსახურება - ტვირთების გადაზიდვა და ამ გადაზიდვებთან დაკავშირებული მომსახურებები.

ასევე, სხვა საქმიანობა, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.

კომპანია ძირითად საქმიანობას ახორციელებს, მართავს საწარმოო პროცესებს, ერთ ლოკაციაზე - საქართველო, ქ. ფოთი, აღმაშენებლის #16.

1.5. კომპანიას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.6. კომპანიის დაქირავებულ თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა 2022 წელს შეადგენდა 5 ადამიანს.

1.7. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

საქართველოს ბიზნეს-გარემო

კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოში და მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები. საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას. განვითარებადი ქვეყნისთვის დამახასიათებელია ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, რაც ხშირად წარმოშობს საკითხებს, რომლებიც განსხვავებულად ინტერპრეტირდება სახელმწიფო ორგანოებისა და საქართველოში მოქმედი კომერციული კომპანიების მხრიდან.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და

გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისათვის.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები ყოველწლიურად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება (მათ შორის, 3 წლამდე ნაკლებ ვადაში).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და

ვალდებულებები გადაიცვლება სამუშაო ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები - 25-40 წელი;

მანქანა-დანადგარები - 8-10 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა - 4-8 წელი;

ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა - 8-10 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები - 5-10 წელი;

იჯარით აღებული ფართის კაპიტალური რემონტი - 10 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

ე) შეკეთებასთან ან განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისთანავე და მათი ჩართვა ხდება პერიოდის საოპერაციო ხარჯებში, თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში. კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2022 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.7020 ლარი;

1 EUR=2.8844 ლარი.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

შპს „ჯი თი ელ“-ის

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

1 USD=3.0976 ლარი;

1 EUR=3.5040 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2022 წელს: 1 USD=2.9156 ლარი; 1 EUR=3.0792 ლარი.

2021 წელს: 1 USD=3.22 ლარი; 1 EUR=3.8124 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	206	102
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	118069	12988
სულ:	118275	13090

3.2. სავაჭრო მოთხოვნები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
ანგარიშსწორებანი ლარებში	600	
ანგარიშსწორებანი აშშ დოლარებში USD	767560	1381872
სულ:	768160	1381872

3.3. სხვა პირებზე ავანსებად გაცემული ფულადი სახსრები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
ანგარიშსწორებანი ლარებში		
ანგარიშსწორებანი აშშ დოლარებში USD	203657	195076
სულ:	203657	195076

შპს „ჯი თი ელ“-ის

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

3.4. ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	2022 წელი ზრდა ან შემცირება	2022 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	2021 წელი ზრდა ან შემცირება	2021 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
შენიშვნები	145050		6962	152013		6962	158975
ავიჯი და სხვა ინვენტარი - წრფივი 10%	4231	1356	524	3399		479	3878
სხვა ავტოტრანსპორტი - წრფივი 12.5%, ხოლო 2019-დან 10%	1726		398	2124		398	2522
სულ:	151007	1356	7885	157536	0	7839	165375

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2022 წლის ბოლოს - 33183 ლარს,

2021 წლის ბოლოს - 25298 ლარს.

3.5. სავაჭრო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
ანგარიშსწორებანი ლარებში - (რეზიდენტები ლარში)	12378	8378
ანგარიშსწორება ვალუტაში - (რეზიდენტები დოლარში)	64066	78066
ანგარიშსწორება აშშ დოლარებში - არარეზიდენტები	378998	637093
სულ:	455443	723537

3.6. საგადასახადო ვალდებულებები:

კომპანიის საგადასახადო ვალდებულება ფაქტიურად მთლიანად შედგება რეზიდენტი მომწოდებლისთვის წინასწარ გადარიცხულ ავანსზე მიღებული ჩათვლებისაგან, რომლებიც შემდეგ უნდა გადაიხუროს ძირითადი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის შესაბამის დღე-ში.

3.7. გამოუმუშავებელი შემოსავალი და მიღებული ავანსები:

კომპანიის მიღებული ავანსები მთლიანად შედგება კომპანიის ერთ-ერთი არარეზიდენტი დამკვეთისაგან აშშ დოლარში მიღებული ავანსისაგან.

3.8. გრძელვადიანი სესხები:

კომპანიის გრძელვადიანი სესხი შედგება კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელის ფ/პ რომან ალლაჰვერდიევისგან (C02020270, P5190246 - აზერბაიჯანი) მიღებული სესხის ძირისგან.

3.9. საკუთარი კაპიტალი:

კომპანიის საწესდებო კაპიტალი ნულის ტოლია. კომპანიას არასოდეს გაუნაწილებია დაგროვილი მოგება დივიდენდის სახით დამფუძნებლის გადაწყვეტილებით.

3.10. ნეტო ამონაგები და გაყიდვების თვითღირებულება:

კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა საექსპედიტორო მომსახურება - ტვირთების გადაზიდვა და ამ გადაზიდვებთან დაკავშირებული მომსახურებები.

შესაბამისად, 2022 წელს კომპანიის მიერ გაწეული საექსპედიტორო მომსახურებებიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 2450812 ლარი, ხოლო ამ მომსახურებების გასაწევად პირდაპირმა ხარჯებმა (თვითღირებულებამ) შეადგინა - 2387043 ლარი.

3.11. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები (გარდა სხვა მუხლებში განცალკევებულად ასახული შრომის ანაზღაურების, იჯარის, პროცენტების, ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯებისა):

	2022 წელი	2021 წელი
წყლის ხარჯი	155	231
ელ. ენერგიის ხარჯი	1395	1373
საკანცელარიო ხარჯები	493	
კომუნიკაციის ხარჯები	1122	2251
კომპიუტერის ხარჯები	464	130
აუდიტორული მომსახურება	1695	10169
სხვა საგადასახადო ხარჯი	1589	1612
საბანკო ხარჯი	4632	4374
სხვა ხარჯი	2706	0
სულ:	14251	20140

შპს „ჯი თი ელ“-ის

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

3.12. სასამართლო დავები:

კომპანიას 2022 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი სახის სასამართლო დავები არ ჰქონია.

3.13. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2023 წლის 1 იანვრიდან 30 ნოემბრამდე პერიოდში, კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობაში საყურადღებო მოვლენები არ მომხდარა.

3.14. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია 2023 წლის 30 ნოემბერს კომპანიის მენეჯმენტის მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები

მარაგები

მზა პროდუქცია

სხვა

საინვესტიციო ქონება

სხვა მოკლევადიანი აქტივები

ბიოლოგიური აქტივები

თვითღირებულების მოდელით

გადაფასების მოდელით

გუდვილი

სხვა არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები

ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში

ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში

სხვა გრძელვადიანი აქტივები

სულ აქტივები

ვალდებულებები

საიჯარო ვალდებულება

სავაჭრო ვალდებულებები

ანარიცხები

ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ

საგადასახადო ვალდებულებები

გამოუმუშავებელი შემოსავალი

მოკლევადიანი ნასესხები სახსრები

გრძელვადიანი ნასესხები სახსრები

მიღებული გრანტები

სხვა ვალდებულებები

სულ ვალდებულებები

საკუთარი კაპიტალი

სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')

საემისიო შემოსავალი

გამოსყიდული საკუთარი აქციები

გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)

გადაფასების რეზერვი

საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები

სულ საკუთარი კაპიტალი

სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები

ერთეული: 1 GEL

31/12/2022 31/12/2021 შენიშვნა

118275 13090 3.1

768160 1381872 3.2

203657 195076 3.3

0 0

0 0

0 0

0 0

0 0

0 0

0 0

0 0

0 0

2100 2100

151007 157535 3.4

0 0

0 0

0 0

1243199 1749673

0 0

455443 723538 3.5

0 0

826 8333

32269 34069 3.6

31464 236864 3.7

0 0

12428 14450 3.8

0 0

0 0

532430 1017254

3.9

0 0

0 0

0 0

710769 732419

0 0

0 0

710769 732419

1243199 1749673

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.11.2023 წ.

დირექტორი



რომან ალალაშვილი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი

შპს ჯი თი ელ


საქმიანობის შედეგები

ერთეული: 1 GEL
31/12/2022 31/12/2021 შენიშვნა

საქმიანობის შედეგები

ნეტო ამონაგები	2450812	4922400	3.10
საქონლის გაყიდვიდან	0	0	
მომსახურების გაწევიდან	2450812	4922400	
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0	
სხვა	0	0	
გაყიდვების თვითღირებულება	-2387043	-4638566	
საწყისი მარაგები	0	0	
მარაგების შესყიდვა	0	0	
გადაშვების დანახარჯები	0	0	
საბოლოო მარაგები	0	0	
საერთო მოგება	63769	283834	
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	6854	
დასაქმებულთა ანაზღაურება	-51454	-126258	
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-7885	-7840	
საპროცენტო შემოსავალი	0	0	
საპროცენტო ხარჯი	0	-1243	
იჯარის ხარჯი	0	0	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-14252	-20140	3.11
სულ საოპერაციო ხარჯები	-73591	-148627	
საოპერაციო მოგება	-9822	135207	
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:			
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0	
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0	
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0	
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0	-49883	
მიღებული დივიდენდები	0	0	
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-11826	-164323	
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-21648	-78999	
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0	
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-21648	-78999	
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0	
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დაც	0	0	
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0	
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-21648	-78999	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	732419	799783	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტ	0	0	
განაწილება შესაკუთრებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-2	11635	
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	710769	732419	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.11.2023 წ.

დირექტორი  რომან ალლაპერდიევ

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განყოფილი ნაწილი

შპს ჯი თი ელ

ფულადი სახსრების მოძრაობა

ერთეული: 1 GEL


ფულადი სახსრების მოძრაობა

საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს

31/12/2022	31/12/2021
113810	-162122
-1630	0
-194	-31745
111986	-193867
-6801	1443
13090	205514
118275	13090

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.11.2023 წ.

დირექტორი



რომან ალლაჰვერდიევი

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი